

### მოკლე ინფორმაცია მტკვარი ჰესის შესახებ

- ჰესის ტიპი: დერივაციული
- მდებარეობა: სამხრეთ საქართველო, მდ. მტკვარი, ქ. ახალციხის მახლობლად. ჰესის სათავე ნაგებობა განთავსდება სოფ. რუსთავეთან – 3კმ-ის დაშორებით, ხოლო ჰესის შენობა სოფ. საკუნეთთან – 1 კმ-ის დაშორებით
- ძირითადი ნაგებობები და მათი პარამეტრები:
  - სათავე ნაგებობა
  - სადერივაციო გვირაბი – სიგრძე: 9.5კმ., დიამეტრი: 5მ.
  - გამათანაბრებელი შახტა
  - ჰესის შენობა ორი აგურგაბით
  - გამყვანი არხი სიგრძით 40მ.
  - ძაბვის ამწევი ქვესადგური
  - 110 კვ-იანი გადაამცემი ხაზი სიგრძით 13 კმ.
- სიმძლავრე: 36-43 მგ.

### პროექტის განხორციელების ეტაპები

- ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების სამუშაოების დასრულება: ივნისი 2009წ.
- მშენებლობის დაწყება: სექტემბერი 2009წ
- მშენებლობის დასრულება: ოქტომბერი 2012წ.

### მოსალოდნელი გავლენა პროექტზე

#### მშენებლობის პერიოდი

გავლენა	შესაბამისი ღონისძიებები
გარემოს დატუჯყიანება მტვერით და ნამწვავი გამონაბოლქვი აირებით, ხმაურის მომატება	ამტვერებადი უბნების საჭიროებისამებრ მორწყვა, მშენებლობისთვის გამოყენებული სამშენებლო ტექნიკის გამართულობის კონტროლი
საშიში ნარჩენები (მაგ: ქიმიური ნივთიერებები, გადაამუშავებული ზეთი ა.შ.)	რეგულარული შეგროვება და ორგანიზებულად უტილიზირება
საწარმოო ტექნოლოგიური პროცესების შედეგად მიღებული ჩამდინარე დაბინძურებული წყლები	უტილიზაცია ადგილობრივ და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად
სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მყარი ნარჩენები (ბეტონი, ლითონის ნარჩენები, მეტალი, პლასტმასები, ა.შ.)	უტილიზაცია ადგილობრივ და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად
გარემოს ფიზიკური იერსახის შეცვლა	ჰესის შენობის არქიტექტურული შესაბამისობა გარემოსთან

#### ექსპლუატაციის პერიოდი

წყალსაცავის მიზეზით საცხოვრებელი ადგილების დაკარგვა და მცენარეული საფარის განადგურება	დასატბორი ფართობების მინიმიზაცია
მდინარის კალაპოტში ჩამონადენის ცვლილება	წყლის ხარჯის რეგულირება ოპტიმალური საექსპლუატაციო პირობებით

აორთქლებული წყლის ზეგავლენა კლიმატის ცვლილებებზე (ტემპერატურა, ტენიანობა)

ჰესის ექსპლუატაციის პერიოდში მდინარის ჩამონადენის გამოყენების ოპტიმიზაციის ხარისხი და მუდმივი დაკვირვება

### საჯარო განხილვა

საჯარო განხილვა ორგანიზებული იქნება მტკვარი ჰესისთვის იმ სახით, რომ საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდეს გამოხატოს თავისი აზრი და მიეწოდოს ინფორმაცია არსებული პროექტის შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფარგლებში, რომელიც განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### საკონტაქტო ინფორმაცია

სს კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასტრუქტურა

აღ.კაზბეგის გამზ. № 44, 0177 თბილისი, საქართველო

ტელ: (995 32) 393256

e-mail: cei@cei.ge

# მტკვარი ჰესი

## ჰიდროელექტრო პროექტი

საქართველოს რესპუბლიკა

ახალციხე

საინფორმაციო ბროშურა

სს კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასტრუქტურა

ENCON Environmental Consultancy Co.

VERKIS



მტკვარი

ჰიდროელექტრო პროექტი

რა არის ჰიდრო ენერჯია?

როგორცაა CO2 და გლობალურ დათბობის გამომწვევი სხვა მანერე გაზები.



ქვემოთ მოყვანილია ჰიდროენერგეტიკის დამატებითი უპირატესობები:

- ელექტრო სადგურის სამართავად წყალს უფასოდ ვიღებთ ბუნებიდან
- ექსპლუატაციისა და მართვის ხარჯები შედარებით დაბალია
- ტექნოლოგია სანდოა და დროის მიერ გამოცდილია
- ჰიდროენერჯია არის განახლებადი ენერჯიის წყარო

მიუხედავად ღირებულებების უპირატესობისა,


გასათვალისწინებელია ასევე ზოგიერთი ნაკლოვანებებიც:

- მაღალი საინვესტიციო ღირებულება
- კლიმატურ პირობებზე დამოკიდებულება (ნალექი)
- ზოგიერთ შემთხვევაში დაკავებული მიწის ფართობი
- ზოგიერთ შემთხვევაში მდინარეთა ჩამონადენის რეჟიმის შეცვლა

როგორია ჰიდროენერგეტიკის როლი საქართველოში?

ჰიდროენერგეტიკა წარმოადგენს უდიდეს ენერჯო წყაროს საქართველოში, რადგანაც საქართველო არის ერთი ერთი უმდიდრესი ქვეყანა მსოფლიოში ჰიდროენერჯო რესურსების ხვედრითი მანქვებლით. დღესდღეობით ელექტროენერჯიის მოთხოვნის 78%-ს აკმაყოფილებს საქართველოს ჰიდრო ელექტრო სადგურები. ჰიდროელექტრო პოტენციალი შეფასებულია 40-50 მილიარდი კვტ/სთ ტოლად, რომელთაგანაც 20 მილიარდი კვტ/სთ წელიწადში ეკონომიკურად განხორციელებადია. თუმცა, დღესდღეობით გამოყენებული არსებული პოტენციალის მხოლოდ 30 %-ი. ამ

თვალსაზრისით ენერგეტიკის სამინისტროს მიერ, მდ. მტკვარი მინეულია ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობის ერთ-ერთ პოტენციურ ვარიანტად. ამ კონტექსტში, პროექტი მიზნად ისახავს მდ. მტკვარის (909-1015მ ნიშნულს შორის) ენერგეტიკული პოტენციალის ასათვისებლად მტკვარი ჰესის აშენებას, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ელექტროენერჯიის სექტორის განვითარებაში, რათა შემცირდეს იმპორტი და გაიზარდოს ელექტრო ენერჯიის მუდმივი წარმოება.



ჰიდრო ენერჯია არის წყლის მექანიკური ენერჯია, რომელიც გამოვიწინდება წყლის მოძრაობისას. ეს ენერჯია შეიძლება გამოყენებული იქნეს სასრგებლო მიზნებისთვის. ეს არის ელექტრო ენერჯიის წარმოების ერთ-ერთი უძველესი და დახვეწილი მეთოდი. დღეს-დღეობით ჰიდროენერჯია უმეტესად გამოიყენება ელექტროენერჯიის წარმოებისთვის. თუმცა, წყლის ენერჯია ასევე გამოიყენებოდა სხვადასხვა მოწყობილობების მოძრაობაში მოსაყვანად.

დღესდღეობით, ჰიდროელექტრო სიმძლავრე აკმაყოფილებს მსოფლიო ელექტროენერჯიის მოთხოვნის 13.3 %-ს. ელექტრო ენერჯიის დანარჩენი ნაწილი იწარმოება სხვა სახის მინერალური საწვავით და ატომის ენერჯიით. მინერალური საწვავის საშუალებით ელექტრო ენერჯიის წარმოება ძვირია და გარემოზე ახდენს უარყოფით გავლენას, ხოლო ატომური ელექტრო სადგურები შეიცავს სახიფათო რისკებს. მინერალური საწვავის გამოყენებით ელექტრო ენერჯიის წარმოებასთან შედარებით, ჰიდრო ენერგეტიკა სრულიად უსაფრთხოა გარემოში სათბური გაზების გამოყოფის მხრივ.